# სახალხო გაზეთი

№ 437 შაბათი, 29 ოქტომბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 437

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ორიაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ცალკე ნომრების გაყიდვა მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციასა და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. წ. სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: [illegible]ებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



### დ. ყვირილაში

„ორიაპანის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

### „სახალხო გაზეთი"

სურათებიანი დამატებით

1 ნოემბრისთვიდან წლის ბოლომდე

ღირს 1 მან. 60 კაპ.

ერთი თვით, როგორც ქალაქში ისე მის გარედ . . . 80 კაპ.

ფოსტის ადრესი: ტფილისი, „სახალხო გაზეთი". (П. Я. 190)

რედაქცია და კანტორა იმყოფება: სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლში, შესავალი ეზოდან.

დაიბეჭდა და იყიდება ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში

და ტფილისში ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

„პირველ-დაწყებითი დარიგება სამღვთო სჯულის სწავლებაზე".

შედგენილი არქიმანდრიტ ნესტორის (ყუბანეიშვილის) მიერ.

ფასი ყდით ექვსი შაური. (5—155—5)

### ტფილ. საკომერციო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს იმ კლიენტების საყურადღებოდ და ხელის შესაწყობად, ვინც რკინის ოთახში უსაფრთხო ყუთებით სარგებლობენ, რომ ზემოხსენებული ოთახი ღია იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, საღამოს 5½—7 საათამდე. დაწვრილებითი ცნობანი უსაფრთხო ყუთებით სარგებლობისა ბანკში იკითხეთ. (2—1558—2)

### საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—161

### თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზია ქუთაისში

აცხადებს, რომ იგი შეუდგა ბ-ნ კიტა აბაშიძის თხზულებათა „ეტიუდები მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ" ბეჭდვას. თხზულება გამოიცემა ორ ტომად, იგი შეიცავს კრიტიკულ განხილვას შემდეგ მწერალთა ნაწარმოებისას: ალექ. ჭავჭავაძისა, გრიგ. ორბელიანისა, ნიკ. ბარათაშვილისა, ვახტ. ორბელიანისა, გიორ. ერისთავისა ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ალექ. ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველასი.

ხელის მოწერა მიიღება 15 ნოემბრამდი ქუთაისში — თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ ისიდორე კვიცარიძის ჟურნალ გაზეთების კანტორა «იმერეთია»-ში და ტფილისში—წერა-კითხ. გამავრ. საზოგ. წიგ. მაღაზიაში ბ-ნ ივანე ავალიშვილთან.

ხელის-მოწერით პირველი ტომის ფასი ო რ ი ა ბ ა ზ ი ა. (15—1539—12)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერხაცკაია-ფიოდოროვისა ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

გედევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., შაბათ., 10½—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ოთხ. დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბავ. 10—12 ს.

ქავთარაძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათი.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფიოდოროვი რ. მ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაბერიძე ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფიოდოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი

წამლობა „606"-ით

(Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფიოდოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—595)

### ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N ... სახლი ჯაბაშვილისა. ...)

### ექიმი ზ. ნ. მამაკიანი

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და ნაწლებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (საზოგ.). მიხეილის პროსპექ. N 36, ტელეფონი 382. 25—1442—60

### ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფ. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1067. (100—1117—26)

### ექიმი ი. ვ ა შ ა ყ ი ძ ე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 (...—24)

### ექიმი ნ. ტ. მ უ ლ ი ნ ი

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—11)

### ექიმი მედიცინისა წამლობა ჭლექისა

ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. (თ 100—1534—16


კვირას, 30 ოქტომბერს, 11 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩა), დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა საერთო კრება განათლების საზოგადოებისა. განსახილველი საგნები: 1) წლიურ ანგარიშისა და სავარაუდო ხარჯის მოხსენება და დამტკიცება; 2) პროფესიონალურ განყოფილების გახსნის თაობაზე მოხსენება. 3) სკოლისთვის საკუთარ შენობის შეძენა. 4) არჩევნები: თავმჯდომარისა, მისი თანაშემწისა, გამგეობის ორი წევრისა, სამი კანდიდატისა და სამი სარევიზიო წევრისა. (1—1561—1)


ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

კვირას, 30 ოქტომბერს, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა **ედ. კინი** (სალახანა გენიოსი), დრამა 4 მოქ. და 5 სურათ. ა. დიუმასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძისა, დავითაშვილი, ვიქტორელი, გარგარეთელი, პიერეტა. ბ ნნი ალექსი-მესხიშვილი, არადელი-იმნაძე(?), აბდუშელი, გუნია, გვარამე, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი.

დასაწყ. 8 ს. ● ადგილების ფასი ერთი-ორად დაკლებულია ●

ანონსი: მზადდება ანტიგონა, კლდე, გამცემი, სატანა, ახალი მოძღვრება და სხვა. (2.896.1) რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტრ.


### კავკასიის სამთო გამგეობა

აცხადებს, რომ 1911 წ. 29 ნოემბრისათვის დანიშნულია ქ. ქუთაისში, შორაპნის მაზრის

## შავი ქვის მრეწველთა მე-XIV მორიგი კრება

კავკასიის სამთო ოლქის, სამოქალაქო ინჟენერ სტატს.-სოვეტ. აბრამ გრიგორის ძის ცეიტლინის თავმჯდომარეობით.

განსახილველი საგნები:

1) კრების მდივნის არჩევა.
2) ანგარიშთა განხილვა: ა) კრების საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა და გ) ბაქნებისა და ჭიათურის ლიანდაგზე ვაგონების გამნაწილებელ კომიტეტისა.
3) განხილვა მაღაროების ნაყოფიერების სასტატისტიკო ცნობათა, რკინის გზის სადგურებზე დაგროვილ სათადარიგო მადნის რაოდენობა, გატანილ მადნის რაოდენობა, მადნის საწყობი ადგილები და გადასაზიდი საშუალებანი კავკასიის რკინის გზის ჭიათურის შტოსა და მთავარ ლიანდაგზე.
4) მაღაროების მუშათა და სამრეწველო ფარგლის მცხოვრებთათვის წყლის გაყვანის საქმე.
5) ჭიათურის შავი ქვის ფარგალში მექანიკურ საშუალებით მადნის შემოტანა.
6) მდ. ყვირილის გაბინძურება შავი ქვის რეცხვის გამო და მისი თავიდან აცილება.
7) ელექტრონის საშუალებით ფერრო-მარგანეცის გამოდნობა.
8) გამოკვლევანი ბრიტანიის ინდოეთში შავი ქვის მრეწველობისა.
9) კრების საჭიროებისათვის უძრავ ქონების შეძენის საკითხი.
10) ტელეფონით შეერთება ჭიათურისა ქუთაისთან, ბათუმთან და ფოთთან.
11) სხვა და სხვა სარკინისგზო საკითხები, სახელდობრ:
   ა) ჭიათურაში საცალფეხო ხიდის გაკეთება.
   ბ) ჭიათურის სადგურზე ჯვარედინ გზების გაყვანა.
   გ) ჭიათურაში მდ. ყვირილის მარცხენა ნაპირზე გზის გაფართოება.
   დ) ჭიათურის სადგურთან გზების მოკირწყვლა და წესიერი მოვლა.
   ე) ჯვარედინ გზებისა და საწყობ ბაქნების განათება.
   ვ) განზრახულ მექანიკურ დასაქანებამდე საპატარებლო ლიანდაგის გაყვანა.
   ზ) ჭიქოურში სადგურის გაკეთება.
   თ) სასადგურო გადასახადის დაწესება, როგორც მგზავრებზე ისე სხვა საქონელზე, შავი ქვის გარდა.
   ი) ჭიათურასა და ყვირილის შუა ძველ გზატკეცილის შეკეთება.
   კ) სხვა საკითხები, რაც შავი ქვის გადაზიდვას საქმეს ეხება.
12) დაბა ჭიათურის გადაკეთება პოსადად და შემოკლებულ თვითმმართველობის შემოღება.
13) ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში პარალელურ განყოფილებათა გახსნა.
14) მაღაროებში უბედური შემთხვევის დროს დაშავებულ მუშათა ზარალის ასანაზღაურებელ საქმის რეორგანიზაცია.
15) სიეზდის სხვა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სათადარიგო ფონდის დაარსება.
16) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება.
17) თანამდებობის პირთა არჩევა. (4—1563—1)


### დოქტორი მედიცინისა ი. ე. თიქანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადიასტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადიასტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კ ი რ ო ჩ ნ ი ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—839—30)

### ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—35)

### ექიმი კბილისა ალ. ხოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12, სახლი მდივნისა.

### ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანოშვილისა.

### ექიმი კბილისა იოსებ ზაქარ. ძე კანდელაკი

მიიღებს დილით 9 დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—3)

### ექიმი ზ. ა. მიძელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის.

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახმეტელი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ბოცკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლონსკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1—3 საათ.

ხუდინსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვოშარსკი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ითხელაშვილისა—ქალ. ავად., ორშაბა თ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

უალიშერაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526—12)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. მოსოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოხოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით.

(წ.—1090—199)

### ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის მახლობ. N 5.

კარგს ქართულ ოჯახში

### იღებენ მოწაფეებს

სრული ხარჯით: ჭამა-სმით, ცალკე ოთახით, განათება-გათბობით და სხვა. მისამართი გუნიბის ქუჩა (ვერაზე) № 45. (10—9)


## ტფილისი, 29 ოქტომბერი

**სოციალური კანონმდებლობა.** სოციალური კანონმდებლობა ევროპაში დღითი-დღე იზრდება. რადიკალურ კანონმდებლობის მოლოდინში ვერავინ იქნება, მაგრამ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ევროპაში მაინც ბევრი რამ საყურადღებო და საგულისხმო გაკეთდა. განსაკუთრებით წინ წავიდა ამ მხრით ინგლისის კანონმდებლობა. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამაც შეითვისა ის უბრალო მოსაზრება, რომ უზრუნველყოფა მუშებისა, მათი ჯანმრთელობა აუცილებელი პირობაა მრეწველობის განვითარებისთვის. ჰუმანიური მოსაზრებანიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, წმინდა ეგოისტური მოტივები მოითხოვენ მუშების უზრუნველყოფას. ბურჟუაზიულ საზოგადოებისაგან რადიკალურ ცვლილებების მოლოდინში ვერ ვიქნებით, მაგრამ ხანდისხან ანგარიში უნდა გავუწიოთ ხოლმე იმ მცირედს, რასაც ეს საზოგადოება იმეტებს მუშებისათვის.

რუსეთში სოციალური კანონმდებლობა არ განვითარებულა, რადგანაც ამისათვის სათანადო პირობები არა ყოფილა. მუშებსა და მწარმოებელთა შორის განსაზღვრულ ნორმების დამწესებელი იმდენად კანონმდებლობა არ იყო, რამდენადაც პრაქტიკა. ეს, სხვათა შორის, ნათლად დაამტკიცა თვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემაც თავის სიტყვაში. საკანონმდებლო დაწესებულებათა მოწვევის შემდეგ შეიქმნა ისეთი პირობები, რომლებშიაც სოციალური კანონმდებლობა უნდა განვითარდეს. ღირსება ამ კანონმდებლობისა მთლად იმაზეა დამოკიდებული, თუ რანაირი იქნება ღირსება და შედგენილება თვით საკანონმდებლო დაწესებულებებისა. ამ მხრივ მესამე სათათბიროსაც ბევრს ვერაფერს მოვთხოვთ მას ისეთი ცხადი ბეჭედი აზის წოდებრივ—ბურჟუაზიულ ინტერესებისა, რომ მუშათა საკითხის რადიკალურად გადაწყვეტა მისგან მოსალოდნელი არ არის. ამ წოდებრივ—ბურჟუაზიულმა ინტერესებმა ნათლად იჩინა თავი უკანასკნელ დროს, როდესაც სათათბირო მუშათა კანონ-პროექტის განხილვას შეუდგა.

მიუხედავად ამისა, მაინც ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ის კამათი, რომელიც ხსენებულმა კანონ-პროექტმა გამოიწვია. ამ კამათმა გამოარკვია, რომ ზოგიერთი დეპუტატები და მათ შორის კომისიაც უფრო მემარჯვენენი აღმოჩნდნენ, ვიდრე თვით მთავრობა. როგორც კოკოვცევის სიტყვიდან გამოჩნდა, მთავრობის პრაქტიკაში აღებულ წესით უხელმძღვანელია და ამ წესის მიხედვით შეუდგენია კანონ-პროექტი, რომელიც, მისი აზრით, საფუძვლად უნდა დაუდოს მუშათა კანონმდებლობას. უმთავრესი მუხლი კანონ-პროექტისა — მეთორმეტე—ეხება საექიმო დახმარებას. თანახმად არსებულ პრაქტიკისა, მწარმოებელნი უსასყიდლოდ ეხმარებიან თავიანთ მუშებს ავადმყოფობის დროს. ეს მხოლოდ განყენებულად გამოთქმული სურვილი კი არ არის, არამედ სინამდვილე. კოკოვცევის ცნობებით 964 ქარხანას საკუთარი საავადმყოფო აქვს. 1.800.000 მუშათაგან 1907 წელს 798.000 მუშას უსარგებლია ამ საავადმყოფოებით. დამყარება ისეთის წესებისა, რომელნიც მოსპობენ ამ საშუალებას დახმარებისას, როგორც ეს მუშათა კომისიასა ჰსურს, არც სასარგებლო იქნება და არც სამართლიანი, ამბობს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ვაჭრობის მინისტრმა ტიმაშევმა მხარი დაუჭირა კოკოვცევს და აღნიშნა, მწარმოებელთაგან არც ერთხელ არ მიმიღია განცხადება, რომ ასეთი დახმარება მძიმე ტვირთად აწევს მათ.

ამ რიგად, მთავრობა თავგამოდებით იცავს იმ დებულებას, რომ მრეწველთა უსასყიდლო დახმარება კანონიერი, სამართლიანი და არც საძნელოა მრეწველთათვის. მთავრობის წარმომადგენელთა სიტყვები რომ შეადაროთ, მაგალითად, ბარონ ტიზენგაუზენის სიტყვას, დიდს განსხვავებას დაინახავთ; იმდენად საყურადღებო განსხვავებას, რომ მარკოვმაც კი ამ ბარონს „პლუტოკრატი" უწოდა. ბარონი ტიზენგაუზენი უპირველესად ყოვლისა აღნიშნავს, რომ ეს კანონ-პროექტი აქეზებს, რომ მათ მუშებს შეუძლიანთ გამოჰგლიჯონ მრეწველებს ის, რასაც მთავრობა იცავსო. ბარონ ტიზენგაუზენს, როგორც ეტყობა, ის აზრი უნდა განემტკიცებინა, რომ მრეწველი ვალდებული არ არის ანგარიში გაუწიოს მუშათა ავადმყოფობას, თუნდაც ეს ავადმყოფობა შედეგი იყოს ამა თუ იმ სამრეწველო დარგში მუშაობისა. მაგრამ საინტერესო იმდენად ეს არ არის, როგორც ის, რომ ბარონ ტიზენგაუზენის სიტყვაში თა-

ვი იჩინა მრეწველთა ინტერესებმა. ამ კამათის დროს ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ მთავრობის წარმომადგენელნი და ოპოზიცია. ცენტრი, სათათბიროს ხელმძღვანელი, მჭერმეტყველურად სდუმდა; მრეწველობის გამოქომაგება მან ვერ გაჰბედა, მთავრობის კანონ-პროექტიც ვერ გაჰკიცხა. ეს დუმილი მშვენივრად ახასიათებს იმ ფრაქციას, რომელიც ცენტრს შეადგენს—ოქტომბრისტებს.

# სახელმწიფო სათათბირო

(გაგრძელება).

სადამოს სხდომას კაზუსტინი თავმჯდომარეობს. იგი კითხულობს ნაციონალისტთა შეკითხვას ფინლიანდიაში მყოფ ჯარის-კაცთა შეურაცხყოფის თაობაზე.

ზოლოტარევი შეკითხვას ემხრობა და ამბობს, რაკი ფინლიანდიელ შოვინისტებს უმწეო რუსთა მღვდლებსა და ვაჭრებზე თავდასხმამ უბრალოდ ჩაუარა, ახლა სისტემად გადააქციეს ფინლიანდიაში მყოფ ჯარის შეურაცხყოფაო. ამას მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს და თუ ფინლიანდიაში მყოფ სამხედრო პირებს სამაგისო უფლება არა აქვთ, სამხედრო მინისტრს შეუძლიან მისი გადიდება მოითხოვოს. მოვუწოდებთ მთავრობას თავის მოვალეობის ასასრულებლად.

თ-დი კურაკინი, შეკითხვათა კომისიის თავმჯდომარე. ვერც ერთი პატრიოტი რუსი აქ აღნუსხულ ფაქტებს აუღელვებლად ვერ მოისმენს და ამიტომ იგი კომისიას უნდა გადაეცეს მოხსენების შესამუშავებლად.

გრაფი ბობრინსკი მე-2-ე. შემკითხველთ სწრაფი განხილვა უნდა მოეთხოვათ. რადგანაც კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, საჩქაროდ განვიხილავთ შეკითხვასო, შემკითხველნი სწრაფ განხილვას აღარ თხოულობენ. შეკითხვა კომისიას გადაეცეს.

კითხულობენ კადეტების შეკითხვას უმაღლეს სასწავლებლიდან ჯგუფ-ჯგუფად მოსწავლეთა დათხოვნისა და პროფესორების უკანონოდ გადაყენებისა და გამოცვლის თაობაზე. თხოულობენ სწრაფად განხილვას.

ნეკრასოვი. ყველაფერი იმის სასარგებლოდ ჰლაპარაკებს, შეკითხვა სწრაფ განსახილველად ვაღიაროთ. აქ ათასობით დათხოვნილ მოწაფეებზეა ლაპარაკი. ახლანდელ მდგომარეობის მიხედვით არ შეგვიძლიან უმაღლეს სასწავლებელთა ცხოვრებაში არ ჩავერიოთ. სახელმწიფო მოღვაწეს, თუ იგი ვაჟკაცია, შეცდომის აღსარებისა და პატიებისა არ უნდა ეშინოდეს. ჯიუტობა და შეცდომის დაჟინებით განმეორება—ლაჩართა ხვედრია. განა შესაძლებელია უმაღლეს სკოლის ცხოვრებას გულგრილად ვუცქიროთ? (პურიშკევიჩი ადგილიდან: „პირ იქით, ჩვენ ვიწონებთ"). ნუ თუ გულგრილად უნდა უცქიროთ, როგორ საცინლად იგდებენ რუსეთის სკოლას, მეცნიერებასა და რუს ხალხს (მარჯვნით ძახილი: „მოგვწონს").

მარკოვ მეორე: „ყველა კადეტი პროფესორები უნდა გამოვყაროთ!" ნეკრასოვი ასე ათავებს: რუსეთის კულტურისა და რუსეთის ხალხისათვის ბესარაბიიდან გამოხიზნულნი უცხონი არიან (მარჯვნივ ტაშს უკრავენ).

ზამისლოვსკი. ამ საკითხის გადაუსწყვეტად მომზადებას თხოულობს. ტომსკის სატეხნოლოგიო ინსტიტუტში საქმე არც ისე ყოფილა, როგორც ესენი ამბობენ. მოლაპარაკე 1910 წელს მომხდარ ამბის თაობაზე ლაპარაკობს, ჯერ როცა ცირკულიარი გამოცემული არ იყო და პროფეს. კოშურნიკოვს ბოიკოტი გამოუცხადეს და ერთი კავკასიელი სტუდენტი მოკვლასაც კი დაემუქრა. უნივერსიტეტის მთავრობა არეულობის მოსპობას არა სცდილობდა და ყველაფერს ჰმალავდა. როდესაც მემარცხენე სტუდენტები დარწმუნდნენ, გაფიცვა ვერ ხერხდებაო, საშინელი საქმის ჩადენა, ინსტიტუტის დაწვა მოინდომეს: 21 თებერვალს ინსტიტუტში რვა ალაგას გაჩნდა ცეცხლი. აი ამის შემდეგ ბევრი გამორიცხეს. მერე ტომსკის პროფესორებს ახასიათებს: პროფ. მალინოვსკიმ მიტინგი გამართა, სადაც ებრაელი აკურბლუმი რეფერატში ამბობდა, რუსეთის სახელმწიფო—თავით ფეხებამდე დასნეულებულიაო. მერე მალინოვსკის „ციმბირის ცხოვრების" რედაქტორობას ახასიათებს. იგი სწერდა, სტოლიპინს სხვანაირი ბოლო არ შეიძლებოდა ჰქონოდაო. მერე მალინოვსკის წიგნს „შურისძიება და სიკვდილით დასჯაზე" უთითებს, ეს ტერორის აპოთეოზია და იმისთვის სამართალშიც კი მისცესო. სწრაფ განხილვის წინააღმდეგია.

ნეკრასოვი ზამისლოვსკის პასუხად ამბობს, ინჟინერმა კოშურნიკოვმა სტუდენტთა გულისწყრომა თავის მოვალეობისადმი ცუდმა მოპყრობამ გამოიწვიაო. ცეცხლის გაჩენას ეხება, და ვერ გავამართლებ ამ საზიზღარ საქციელს და ობსტრუქციას. მაგრამ ცეცხლის მოკიდება არა ჰსურვებიათ ობსტრუქციონისტებსა. ზამისლოვსკის რომ მალინოვსკის წიგნი გულდასმით წაეკითხა, ნახავდა, რომ იქ ნამდვილად ტერორის გმობა იყოო. ზამისლოვსკიმ შეკითხვის საფუძველი ვერ დაარღვია.

ამოსენკო. სამწუხაროა სტუდენტების გამორიცხვა, მაგრამ მინისტრი სხვაფრივ ვერ მოიქცეოდა არეულობის მომხდენთა დასასჯელად. ამისათვის შეკითხვას სწრაფ-განსახილველად ნუ მიიჩნევთ, უფრო საჩქარო საქმეა, მაგალითად, სახაზინო მიწების გლეხებში განაწილების კანონ-პროექტიო.

თავმჯდომარე აცხადებს, წინადადება შემოიტანეს შეკითხვის კომისიისთვის გადაცემის თაობაზე ორი კვირის ვადითაო.

მილიუკოვი. კადეტები ამ წინადადებას არ ეწინააღმდეგებიან. რადგან საქმე ის არის, საკითხი შუა ნოემბრამდე იქმნეს განხილული, როდესაც გამორიცხული სტუდენტები სამხედრო ბეგრის გადასახდელად უნდა გამოცხადდნენ: ამიტომ მოწაფეების უბედურებისადმი თქვენი აზრი გვინდა გამოვარკვიოთ, სწრაფად განხილვის წინადადება უკან მიგვაქვსო.

მარკოვ მე-2. პირველ სექტემბრის წინ ფინლანდიის სენატში ლაპარაკი იყო, რა ვქნათ მთავრობის ახალი პოლიტიკის გამოო.

მეხელინმა სთქვა, ცოტა ხანს მოიცადეთ, ჩქარა მდგომარეობა შეიცვლება, ნამდვილად ვიციო. დაუჯერეს და 1 სექტემბერს სტოლიპინი მოჰკლეს. სიკვდილის წინ იგი ამბობდა: ფინლანდია გახსოვდეთო. არ ვიცი ამ ორ კვირის ვადას შეიძლება, კასოს მოკვლასთან აქვს კავშირი, მაგრამ მაინც მაგ ვადის წინააღმდეგი ვარ (ხმაურობა და სიცილია). შეკითხვა კომისიას გადაეცა ორი კვირის ვადით.

სწრაფ-განსახილველია კადეტების შეკითხვა სახალხო განათლების მინისტრის მშობელთა წრის თაობაზე გამოცემულ ცირკულიარის შესახებ.

ნეკრასოვი მომხრეა სწრაფ-განხილვისა და ამბობს, არ შეიძლება გულგრილად ვუცქიროთ საქმის დაღუპვას, რომელიც უკვე ცხოვრებაში ფეხმოკიდებულიაო.

თავადი კურაკინი სწრაფ-განხილვის წინააღმდეგია. შეკითხვა კომისიას გადავცეთ და სამი კვირის შემდეგ მოხსენება წარმოგვიდგინოსო.

მარკოვ მე-2. კომიტეტები—1905 წლის ოქტომბრის ღვიძლი შვილია და დიდი ხანია ვარამად იქცნენ. განათლების მინისტრი კარგად მოიქცა, როდესაც კომიტეტები მოსპო. ბავშვთა აღზრდის თვალ-ყურის სადევნებლად არსებობს განსაკუთრებული აღმზრდელთა ინსტიტუტი. კომიტეტების გადაწყვეტილება კი ხშირად ძალიან საეჭვო ზნეობის კაცთაგან არის გამოტანილი. უკანასკნელ შეკითხვათ პომქმედ და საქმიან მინისტრის ჩამოგდება აქვთ მიზნად.

მილიუკოვი. შეკითხვის საგანი საკამათო სრულიადაც არ არის. მინისტრის ცირკულიარი დაცინვაა და მშობელთა მიერ ბავშვების აღზრდაში მონაწილეობის აბუჩად აგდება.

სწრაფ-განხილვა უარჰყვეს 147 ხმამ 112 წინააღმდეგ. მიღებულ იქნა წინადადება, სამის კვირით კომისიას გადაეცეს.

სათათბირო ნოვოროსიის უნივერსიტეტში მომხდარ ამბის განხილვას განაგრძობს.

პურიშკევიჩი. თუ აქამდე შეიძლებოდა გვეთქვა, სწავლის საქმე უმაღლეს სასწავლებლებში დონეზე დგებაო, ახლა, როცა განათლების მინისტრს შეკითხვას შეკითხვაზე აძლევენ, პასუხის მიცემა დამაფიქრებელია. შეკ თხვათა მიზანია—კულტუროსან და ნაყოფიერ მოქმედებას მინისტრისას სახელი გაუტეხონ, ვინმე რევოლუციონერი წააქეზონ. ეს შეკითხვა სავსეა მუშაობის მოსურნე სტუდენტობისა და მოვალეობის აღმასრულებელ პროფესორების სიძულვილით. ეს შეკითხვა ფსიხოლოგიური დივერსიაა მემარცხენეთა, რადგან ნამდვილად შეკითხვა მემარჯვენეთ უნდა შემოეტანათ.

პურიშკევიჩი დაწვრილებით ასწერს სტუდენტთა ბალზე მომხდარ ამბავსა და სიტყვის გათავებას ვერ ასწრებს.

შემდეგი სხდომა პარასკევისთვის არის დანიშნული.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ აბასთუმნის დღესასწაულზე დასასწრებლად დღეს ტფილისიდან გავა კავკასიის ნამესტნიკი თავის მეუღლითურთ. გუშინ ტფილისიდან აბასთუმანს გაემგზავრა აგრეთვე საქართველოს ექსარხოსი.

◆ საქალაქო არჩევნები. გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლის თანახმად მომავალი არჩევნები ბარათებით უნდა მოხდეს.

◆ ჯილდოები ხილეულობის გამოფენაზე. საექსპერტო კომისიამ ნიმუშების წარდგენისათვის დააჯილდოვა: საპატიო დიპლომით (უმაღლესი ჯილდო)—ი. ი ფურცელაძე, ოქროს მედლით—ძმ. ავსარქისოვები, ოქროს პატარა მედლით—ო. ნომანზაძე, კაზანცევი, და თავ. შერვაშიძე; ვერცხლის დიდი მედლით—ა. ა. ქარუმიძე; ა. ა. ფიკლენიშვილი, სმენკალის სამეურნეო საზოგადოება, ამაღლების საბაღოსნო სკოლა და იგდირის ორ-კლასიანი სასწავლებელი; ვერცხლის პატარა მედლით—თავ. მ. რ. ერისთავი, დ. რ. ძაჰავარიანი, დ. და კ. დიასამიძეები, ზაქათალის სახელოსნო სკოლა, ბელეცკისა, მარტინოვისა და ა. ა. ბაბაქიანი; ბრინჯაოს მედლით—ქ-ნი მინასოვისა, თავ. ი. მ. სუმბათოვი, კ. ვ. კალატოზოვი, ს. გ. ტიტვინაძე, გრაფ უვაროვის მამული, ა. ა. კალატოზოვისა, ბ-ნი ედილაშვილი, ახალციხის ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და ამხანაგობა „ანკარა", ქების ფურცლით—ნ. დ. ერისთავი, ი. ი. ერშოვი, თავ. ე. ე. ერისთავი, ს. ს. გიტლინგი და ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარია; „საპატიო მოწონების"—ა. ზ. ბაბალოვი, თავ. დ. ს. ციციშვილი, ართვინის სანერგე, ბ-ნნი ბიბილაშვილი და ბაშინჯაღიანი; საგანგებო მადლობით: ს. ს. ხეთაგური და კ. ვ. აფრიკიანი; მადლობით—ყველა ისინი, ვინც საკუთარ ბაღების ნიმუშები, ან რომელსამე რაიონის და მახასიათებელი კოლექციები წარმოადგინა.

◆ სამართალში მიცემა. ქუთაისის მაზრის პირველ განყოფილების მორიგებელი მოსამართლე ა. ანანიაშვილი სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა, რადგან მაზე წინასწარი გამოძიება არის დანიშნული. ბრალდება სამსახურის დროს უკანონო მოქმედების ჩადენა.

◆ ქართული საუბნო კითხვები. კვირას, 30 ოქტომბერს, ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი განიევი წაიკითხავს: „გორგალას", ხოლო ქ-ნი ყურული ნავთლუღში წაიკითხავს „თეთრ ფინია"-ს. დასაწყისი საღამოს 11 საათზე.

◆ ვლ. ცაგარელს ქართულად გადაუთარგმნია შემდეგი წიგნები: 1) „სქესობრივი საკითხი" ა. ფორელისა 2) „როგორ უნდა მოშენდეს ფუტკარი დადანის სკაში", ო. მუსინ-პუშკინისა და 3) „ფუტკრის კალენდარი" ე. ბერტანისა.

◆ საფოსტო განყოფილებანი, სადაც სრული ტფ. საფოსტო ოპერაციები სწარმოებს, გაიხსნა შემდეგს სადგურებში; შაგალსა, ბოსლევსა, ალაგეზსა, კასპსა, გრაკალსა, ძეგამსა, ნავაგსა, ბაკურიანსა, მიუსულსა, ქარელსა, ძირულისა, ტაუზსა, შამქორსა, ყარაიაზსა, მოლითასა და გომში.

◆ საზოგადო კლუბის საბჭომ გადასწყიტა სისტემატიურად მოაწყოს ლექციებისა და რეფერატების კითხვა ქალაქის თვითმმართველობისა და ერობის შესახებ. წარსულ შაბათს რეფერატი წაიკითხა მ. ნ. ვესელოვზოროვმა. დღეს რეფერატს კითხულობს ა. მ. ჯაბარი ამ თემაზე „პრინციპი ფინანსიურ მეურნეობისა". რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება. მომავალ შაბათს რეფერატს წაიკითხავს ი. დ. გულისაშვილი შემდეგ თემაზე: „კავკასიის საერობო პროექტები".

◆ ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის მოურავს აცნობა, რომ გაზ. „ზაკავკაზიის" 25 ოქტომბერს მე-214 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი „სენატის უქაზი". გამგეობამ გუშინდელ კრებაზე განიხილა სენატის უქაზი, რომლითაც ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა განსაჩივრება ქალაქის გამგეობის მიერ უყურადღებოდ დასტოვა. ამ დროს კი, როგორც წერილიდან სჩანს, ქალაქის გამგეობამ სენატის განაჩენს არ დაუცადა და დაზარალებულ გურულებსა და ნახიჩევნელებს უკვე გადასცა 5000 მანეთი თითოს. სენატმა განმარტა, რომ ქალაქს ნება აქვს დაეხმაროს მხოლოდ თავის გუბერნიის ქალაქებს. ამიტომ ეხლა მიცემული 10,000 მანეთი ქალაქის გამგეობის კოლეგიამ უნდა გადაიხადოს. ამიტომ გუბერნატორი ქალაქის მოურავს სთხოვს, აცნობოს, მართალია თუ არა, რომ გამგეობამ ფული უკვე გადასცა დანიშნულებისამებრ, და თუ მართალია, რა საფუძვლის ძალით.

◆ 27 აგვისტოს, კავკასიის ნამესტნიკს ქუთაისის გუბერნატორი ა. ი. სლავოჩინსკი წარუდგა.

# მუშის ხელ-ფასი საქართველოში ძველად და ეხლა

II

(ეკონომიურ ცხოვრების განვითარებასთან ერთად)

დასავლეთ საქართველოს გლეხკაცობის ეკონომიური მდგომარეობა დიდად განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხ-კაცობის მდგომარეობიდგან. პირველში მიწათმფლობელობას პირცელიარულ საკუთრების სახე უფრო მკაცრადა ჰქონდა მიღებული, ვინემ ტფილისის გუბერნიაში. აქ მამულის კონცენტრაცია მცირე რიცხოვან თავადმაგნატების ხელში უკვე განხორციელებულ ფაქტს წარმოადგენდა და ისეთი კონტრასტი, ისეთი წინააღმდეგობა ღარიბსა და მდიდარს შორის დასავლეთ საქართველოელისათვის წარმოუდგენელიც იყო. მოუსვენარი კოხტა გურიის შვილი—ბ. ნოე ჟორდანია თავის მოგზაურობის დროს კახეთში ფრიად გაოცებული დარჩა ყოველივე მით, რაც მან იქ ნახა, რაც მან გაიგონა, რაც იქ ისწავლა. მემამულე თავადებსა და მშრომელ ხალხს შორის „დიდი ორმო ამოთხრილა, განსხვავება შემუშავებულა"-ო—კვიამბობს ბ. ჟორდანია[1]). ასეთი წინააღმდეგობა კახეთის ცხოვრების ყოველ დარგში გამეფებულიო, „ეს წმინდა კასტიური წყობილება გახლავს, რომლის მზგავსი არც ერთ კულტურულ ქვეყანაში არ არის, არ არის აგრეთვე ჩვენს დასავლეთ საქართველოში—მოგვითხრობს ზემოხსენებული ავტორი.

და ყოველივე ეს აშკარა სინამდვილეს წარმოადგენდა იმაზე წინად, ვინემ ამას ნ. ჟორდანია ჰნახავდა. ასეთ განწყობილებათა სათავე ძველი ცხოვრება, საიდანაც ის უფრო ღრმავდა. დასავლეთ საქართველოს სულ მცირე მიწაც კი „დიდ" სარგებელს აძლევს გლეხს, კარგ მოსავლის დროს მას შეუძლიან საარსებო მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. გაცილებით უარეს პირობებში იმყოფება ტფილელი გლეხ-კაცობა. აქაური მიწაადგილების უდიდესი ნაწილი ხვნათესვისათვის ნაკლებად გამოსადეგია, მთა-გორაკიანი ადგილები ამ ბუნებრივ სიძუნწეს ეკონომიურ მნიშვნელობას უფრო უკარგავს, საკმაო წყალი არ აქვს, გახრიოკებულ მიწას არა რა უნდა გამოსტაცოს პირველყოფილ საწარმოო იარაღებით. მსხვილი მემამულეები უფრო ადვილად ახერხებენ თავის ბედნიერების დაცვას. მსხვილი მამულის პატარ-პატარა შემოსავალი საკმაო ხდება ერთ ოჯახისათვის, ამიტომ გლეხ-კაცობის მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში ზღაპრული საშინელებაა.

რით უნდა იცხოვროს აქაურმა გლეხმა? ხვნა თესვა მას ვერ უზრუნველჰყოფს, მას საარსებო მასალასაც ვერ აძლევს, ამიტომ ის იძულებულია მიმართოს სხვა ხელობას, მაგრამ რას? გლეხობა განუვითარებელია, ღატაკი და გარედ გაუსვლელი. შეგნებულად, თუ შეუგნებლად ის მიმართავს მებაღეობას, მებოსტნეობას, ხვადაგის წარმოებას, ხელოსნობას, შავ მუშაობას—ერთი სიტყვით ყველაფერს, მაგრამ ყველგან უძლური და დამარცხებული გამოდის, ყველგან სოფლის წურბლები და შეძლებულნი სდევნიან, ყველგან მდიდრები ატყავებენ და სძარცვავენ.

მხოლოდ თავისი ჯანიღა შეურჩენია მას, შთაუნთქავს, მხოლოდ იქიდან თუ შეიძლებს ცხოვრების მასალების გამოწოვას, მაგრამ სად? ვისთან? თავს ჯან-ღონეს ტფილელი გლეხ-კაცობა ხშირად გამოიტანდა ბაზარზე გასაყიდათ, ის ურცხვად აასრულებდა ბატონების ნება-სურვილებს, ბატონების სამუშაოს, მაგრამ, ვაი, რომ ესეც არ იყო იმდენი, რამდენიც მის მოთხოვნილებას ესაჭიროებოდა, რამდენიც მათ წყლულს მალამოდ ეყოფოდა. მრეწველობამ გაუვითარებელი იყო! რკინის გზებითაც მოფენილი არ იყო მხარე და ამ გზის გაყვანა უწინ დასავლეთ საქართველოში დაიწყეს. ამნაირად ბ. ნ. კ. ნიკიფოროვი, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ დუშეთის მაზრაში, მაგალითად, საწარმოო და საქარხნო სამუშაო არ მოიძებნება და უბრალო წისქვილები—ეს ელემენტარული და უბრალო ტიპები გადამუშავებულ მრეწველობისა—ქარხნებად ვერ ჩაითვლებაო [1]). ამიტომ აქ გარეშე შემოსავალი, შემოსავალი მრეწველობიდან და შრომის გაყიდვით მეტის-მეტად მცირეა და თითქმის უმნიშვნელო. თუ ვინმე სოფლის კერასა სტოვებს და გარედ სამუშაოს საძებრად მიდის—ეს მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული გლეხ-კაცის ოჯახია და ისიც მრავალ-რიცხოვანი ოჯახობა. უდიდესი შემოსავალი და წყარო მათი ხელფასისა ამ შემთხვევაში ქართული სამხედრო გზაა, რომლის 146 ვერსი დუშეთის მაზრის ფარგლებშია მოქცეული. ნიკიფოროვი აღნიშნავს, რომ ამ გზაზე დიდძალი ხალხი გამოდის და ხვნა-თესვიდან განთავისუფლებულნი, აქ ისინი დღიურად სამი აბაზიდან მანეთამდე იღებენ [2]). ნიკიფოროვს ძლიერ აინტერესებდა შეეტყო, თუ რამდენი სოფლელი ღებულობდა ამ მუშაობაში მონაწილეობას, კონკრეტიულად, მარტივად დაენახვებინა საზოგადოებისათვის ამ მუშახალხის სამუშაო ხელფასის რეალური რაოდენობა, მაგრამ, როგორც თვით ბ. ნიკიფოროვი მოგვითხრობს, მან თავის მიზანს ვერ მიაღწია, გლეხები ამ ცნობას ჰმალავდნენ და ბ. ნიკიფოროვს არ უზიარებდნენ. ამ უკანასკნელის ვარაუდით კი ამ გზაზე სამი ათასამდე გლეხ-კაცი მუშაობს და საერთოდ ოთხმოცდა ათი ათასამდე მანეთს უნდა იღებდნენო [3]).

მიუხედავად ასეთი შემოსავლისა, ბ. ნიკიფოროვი მაინც ჰხედავს, რომ ადგილობრივ გლეხ-კაცს ურჩევნია თავის ნაბატონართან იმუშაოს, ვიდრე ასეთ მუშაობას მოჰკიდოს ხელი. პირველი უმთავრესად ვენახში ამუშავებს. ასე უგულოდ ეკიდება შავ მუშაობას თიანეთის მაზრის მკვიდრიც, რომელსაც საგულისხმოდ გვიხატავს ბ. მ. ვ. მაჩაბელი [4]) ამ უგულობას შიმშილობა და იძულება განზე სტოვებს და ასეთ შემთხვევაში კი, რაიცა ბ. მ. ვ. მაჩაბელის აღნუსხვით განსაკუთრებით მკაცრ სახეს ღებულობს მოუსავლიანობის დროს, ის იძულებულია შრომის ძალა აამოქმედოს, თავისი უნარი და ენერგია გააქიროს. მრეწველობას ვერც ამ კუთხეში ნახავდა მკვლევარი, ხალხი მას არ იცნობდა და ერთი უმთავრესი წყარო და შემოსავალი შრომის გაქირავებას ისინი თავიანთ სოფლებშივე ან მახლობელ მაზრებში ეძებდნენ. მდიდარი მებაღე და ან დიდი მიწათ-მფლობელი—მემამულე—აი ვინ იქირავებს ზაფხულობით ამ მხარეში მუშებს. და დღიურ შრომაში 60—80 კაპეიკამდე აძლევსო — გვიამბობს ბ. მ. ვ. მაჩაბელი [5]).

ხევსურის მდგომარეობა კი უფრო ცუდია—ის შრომას სრულიად არ თაკილობს. ოღონდ სამუშაო იშოვოს და მის განურჩევლად აკეთებს. „ხშირი მოუსავლობა აიძულებს ხევსურს მიატოვოს თავის საყვარელი კერა, ძვირფასი კლდეები და გაეშუროს ბარში, რომ დღიურ შრომით აიღოს კაპეიკი და გამოკვებოს თავისი ღარიბი და პატარა ოჯახობა"—ამბობს ბ. მაჩაბელი [6]). ამ შემთხვევაში ხევსურებს სრულიად უკუუგდია თავისი ამპარტავნობა და სიამაყე, ის ეხლა აღარა თაკილობს—გვიამბობს იგივე მაჩაბელი — შავ სამუშაოს, ის ექირავება ალას დღიურად ქვების სათრევად, გააქვს ნაკელი, ასუფთავებს საქონლის ბოსელს, ცხვრის ბაგას, ერთი სიტყვით ასრულებს ყოველგვარ სამუშაოს რომ რამე მიიღოს, და მით ხელცარიელი არა დაუბრუნდეს თავის ოჯახობას" [7]).

აღმოსავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში ვხედავთ მუშის ძალის ქირაობა - გაქირავებას. როგორცა ვსთქვით, აქ საზოგადოების ორი კატეგორია უკვე თვალსაჩინოდ დაუპირისპირდა ერთი-მეორეს. მწარმოებელი და ამის გამყვლეფი, დამქირავებელი და დაქირავებული, მემამულე და უმამულო მუშა.—აი, რა პირობებში, რა ნიადაგზე სწარმოებს აქ საზოგადოებრივ სიმდიდრის შექმნის საქმე. გარჩევა მხოლოდ იმაშია, თუ რომელ კუთხეში

1) იხ. „გაზეთი" — რჩეული ნაწერები, გვ. 334.

1) იხ. Н. К. Никифоровъ „Экон. б. г. кр. Душетскаго уѣзда, Тифл. губ.", გვ. Матеріалы... ტ. V. ნაწ. II.

2) ხსენებული გამოკვლევა.

3) გვ. 68.

4) იხ. Изслѣдованіе М. В. Мачабели „Экон. б. г. кр. Тіонетскаго уѣзда Тифл. губ." გვ. 474—475. Матеріалъ, ტ. V. ნაწილი II.

5) იგივე.

6) იგივე, გვ. 475.

7) მაჩაბელი, გვ. 475.

◆ **ტფ. გუბერნატორმა** ქალაქის მოურავს წინადადება მისცა, შეაჩეროს ქალაქის საბჭოს 29 სექტემბრის დადგენილების სისრულეში მოყვანა, რომ ქალაქის ლომბარდის მოსამსახურეს კაკაბაძეს ლომბარდის შემოსავლიდან შემწეობის სახით მისცენ 600 მანეთი.

◆ გუშინ ტფილისის ბირჟაზე შემდეგი საბირჟო ოპერაცია მოხდა. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ობლიგაციები ფასობდა: გამყიდველები 85, მყიდველები 84 მ. 75 კ. გაიყიდა 84 მ. 77 კ., ტფილისის სათ.-აზნ. საადგილ მამულო ბანკისა 85, 84,—გაიყ. 84—75. ქუთაისის —$83\frac{1}{8}$, $82\frac{5}{8}$, არ გაყიდულა.

◆ **ქართველ ამომრჩეველთა ცენტრალურმა ბიურომ** შემდეგი კანდიდატები დაასახელა:

პირველ საარჩევნო უბანში ალ. ბეს. მდივანი—ქართ. გიმნაზ. დირექტორი, ვარლ. ლევ. გელოვანი—ნაფიცი ვექილი, ვას. ყიფიანი, სამეურნეო ბანკის დირექტორი, თ-დი პავ. იოს. თუმანიშვილი—სათ. აზნ. გიმნაზ. კომიტეტის თავმჯდომარე.

მესამე საარჩევნო უბანში: სვიმონ ფორაქიშვილი—კომერსანტი, ივან. ნიკ. კვეზერელი-კოპაძე—კომერსანტი, სვიმ. შერმ. ჭყონია.

მეოთხე საარჩევნო უბანში: პეტრე გრიგ. მაგრაძე—ინჟენერ ტეხნოლოგი.

სხვა საარჩევნო უბნებში ჯერ კანდიდატები არ დაუსახელებიათ.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** 31 ოქტომბერს იმ ახალგაზრდებს შეამოწმებს, რომელნიც წელს სამხედრო ბეგარაში იყვნენ გაწვეულნი და თავის დროზე არ გამოცხადდნენ.

◆ **გუბერნატორმა** ნება დართო სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოებას, საგანგებო ფურცლებით შეწირულებანი მოაგროვოს სომხურ ღარიბ სასოფლო სკოლებისთვის.

◆ **ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის** კრება 27 ოქტომბერს მოხდა. კომისიის თავმჯდომარემ თავ. გ. თუმანოვმა წაიკითხა მოხსენება, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნა, თუ რამდენი ფული აქვს უნივერსიტეტს აღთქმული და ამ ფულიდან დღემდე რამდენია განაღდებული.

◆ მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობა დღეს, 29 ოქტომბერს, ქართულ თეატრში ლერმონტოვის სახელობის სალიტერატურო-სამხატვრო საღამო გამართავს, რომლის წმინდა შემოსავალი საზოგადოებას გადაეცემა ქონების გასაძლიერებლად.

◆ **შემოსავალი ილიას საღამოსი**, რომელიც 27 ოქტომბერს ქართულს თეატრში გაიმართა, სულ 399 მან. 90 კაპ. იყო. ხარჯი 250 მან. იყო. წმინდა შემოსავალი 144 მან. 40 კაპ. დარჩა.

◆ **ხილეულობის გამოფენა**, რომელიც უკვე დაიხურა, 5,061 კაცს დაუთვალიერებია. ბილეთების გაყიდვით შემოსულა 1,200 მანეთამდე. სამეურნეო წიგნები გაყიდულა 250 მანეთისა.

## საზოგადოებანი და კრებები.

◆ **ქართველთა შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობის მორიგი კრება დღეს მოხდება.

◆ **კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** კრებაზე 8 ნოემბერს ბ-ნი საჩივიჩი მოხსენებას წაიკითხავს გორის მაზრაში სამეურნეო სადგურის მოწყობის თაობაზე. ამ სადგურის დანიშნულება იქნება შესაფერი სამეურნეო დარიგებანი მისცეს მსურველთ და აგრეთვე ხილეულობისა და ბოსტნეულობის ავადმყოფობანი უნდა გამოიკვლიოს.

◆ **ტფილისის საბირჟო კომიტეტმა** დაადგინა: 1) მდივნის მოხსენების გამო საბირჟო ვაჭრობას და სასოფლო სამეურნეო წარმომადგენელთა მე-V სიეზდზე წარსადგენი პროექტი საულტეხილო გზის გამო—მოიწონეს, სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების, ბირჟის წარმომადგენლების სარკინიგზო საბჭო კრებებში დასწრება მოიწონეს და დანიშნულებისამებრ გაგზავნეს; პირი დადგენილებისა გაეგზავნა საურთიერთო კრედიტის ცენტრალურ ბანკის გამგეს თავ. მიქელაძეს და სამხრეთ რუსეთის სიეზდს ოდესაში. 2) ეთხოვოს თავ. მიქელაძეს გიმნაზიასთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ პეტერბურგში საექსპორტო პალატაში ტფ. საბირჟო კომიტეტის წარმომადგენლად იყოს; 3) საექსპორტო მრეწველობას გამაუმჯობესებელ საუწყებათა შორისო ბჭობაზე დასასწრებლად, ეთხოვოს ნაფიც ვექილს ქალანთაროვს წარმომადგენლად იყოს. 4) საბირჟო ვაჭრობის საბჭოს თხოვნის გამო, კომერციულ სწავლა განათლების ფორმის შესახებ, დირექტორის და ინსპექტორის აზრის მიხედვით შესაფერი რეზოლიუცია გაგზავნოს. და სხვა.

◆ ხუთშაბათს, 27 ოქტომბერს, თავ. ს. რ. სარაჯიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ქართულ სასოფ.-სამეურ. საზ. საბჭოსი, ამ კრებაზე საბჭოს წევრები დაიყვნენ სექციებად. ჯერ-ჯერობით გამოიყო ხუთი სექცია: 1) წიგნების გამომცემელი და სარედაქციო; 2) სამეურნეო კულტურისა (ხვნა-თესვა, მებაღეობა, მევენახეობა, ბალახეულობის თესვა და სხ.) 3) ზოოტეხნიკისა (მწვანილი, საქონლის მოვლა-მოშენება, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა, აბრეშუმის ჭიის მოშენება და სხ.) 4) ტეხნიკური (სარწყავ და სასმელი წყლის გაყვანა, გზების გაკეთება, სამეურნეო შენობების აგება და სხ.) და 5) კოოპერატიული. ყველა ამ სექციებში საბჭოს წევრებს უფლება აქვთ შევიდნენ, რომელშიაც კი მოისურვებენ და ამის გარდა მოიწვიონ სექციების წევრებად საზოგადოების წევრებიდგანაც მცოდნე პირები და რჩევის ხმით ამა თუ იმ საგნის კომპეტენტური უცხო პირებიც. ამის გარდა ცალკე ორგანოთ გამოიყო „საბჭოს ბიურო“, რომელშიაც შედიან საზოგადოების თავმჯდომარე თავის ამხანაგით და მდივნით და თითო წარმომადგენელი ყველა სექციიდან. კრებამ მოისმინა აგრეთვე წინადადება ბ. თ. ს. ვაწაძისა, რათა საბჭომ დახმარება აღმოუჩინოს ს. დიდომის გლეხებს წყლის გაყვანაში და მემულის და მოტორიანი გუთნის შეძენაში და ამოირჩია კომისია, რომელიც გამოარკვევს ამ საქმეს და გამოძებნის ზომებს დიდომელების დახმარებისას.

## პროვინცია

◆ **სოფ. მანგლისი** (ტფილისის მაზრა) 68 გლეხი თავიანთ საბალახოების დასათვალიერებლად წავიდნენ. და იქ ახლო სოფლების ნახირი იპოვეს. რათა დაემტკიცებიათ, რომ ახალ სოფლელების ნახირმა მათი საბალახოები მოსძოვა, რამდენიმე თავი საქონელი გაირეკეს. მანგლისიდან 4 ვერსის მანძილზე, მათ რევოლვერებით, ბერდანებით, ხანჯლებით შეიარაღებული 80 ახალსოფლელი გლეხი დაეწია. მათში ქალებიც ერია და თოფები დაუშინეს მანგლისელებს. ორი სამი კაცი მოჰკლეს, დაჭრილიც ბევრია. იმ წამსვე მოვიდა ადგილობრივი ადმინისტრაცია. საქმის გამოძიებას ტფილისის 1 ნაწილის გამომძიებელი და უბნის პროკურორის თანაშემწე აწარმოებენ.

◆ **სოფ. ხეითი** (გორის მაზრა) შეურისძიებით მხეცურად მოჰკლეს მიხეილ გოჩაშვილი. შეიპყრეს ვასილ ხეთაგაშვილი, ბაგრატ და გიორგი გოგაშვილები. მათ გულახდით აღიარეს დანაშაული და წამქეზებლად ივანე დავიდოვი დაასახელეს. უკანასკნელი დააპატიმრეს.

◆ **სოფ. ველისციხე** (სიღნაღის მაზრა) ზაქარია ჯავაშვილმა ბოროტმოქმედთაგან წერილი მიიღო 3000 მანეთი დაგვიმზადეო.

# აფრასიონ მერკვილაძის რაზმის საქმე.

მკითხველთ, რასაკვირველია, კარგად ეხსომებათ ცნობილი აფრასიონ მერკვილაძე, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში ბინადრობდა თავის მრავალ რიცხოვან რაზმით. რამდენიმე წლის წინად რაზმის ბელადი მერკვილაძე მოჰკლეს და რაზმის დანარჩენს წევრებსაც დევნა დაუწყეს, რომელნიც სხვა და სხვა დროს შეიპყრეს.

ამ საქმის გამო სამხედრო სამართალში 28 კაცი მისცეს. საქმის გარჩევამ თვეზე მეტი გასტანა. ქუთაისში, სადაც ეს საქმე ირჩეოდა, 300 მოწმე იყო დაბარებული. ბრალდებულთ მრავალ მკვლელობისა და ძარცვაგლეჯის ჩადენა ბრალდებოდათ. ბრალდებულთ იცავდნენ ქუთაისის ვექილები და ერთიც პეტერბურგელი, სოკოლოვი. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩეოდა.

საქმის გარჩევის შემდეგ სამხედრო სასამართლომ ოთხ დღეს ითათბირა განაჩენის გამოსატანად და მხოლოდ 26 ოქტომბერს გამოაცხადა ამ დიდი საქმის გამო თავისი განაჩენი:

**სასამართლომ ჩამოახრჩობა გადაუწყვიტა შვიდ კაცს:** 1) სერაფიონ ჭუმბურიძეს, კოლია ლორთქიფანიძეს პაჭაძეს, ალექ. სვანიძეს, არჩილ საყვარელიძეს, ტრიფონ რამიშვილს და ისმაილ ჭუმბურიძეს.

**კატორღა მიუსაჯა** 13 კაცს: ბესარიონ ნებიერიძეს-უვადო, ტრიფონ ცერცვაძეს-20 წლით, მიხეილ ჩუბინიძეს-18 წლით, იაგორ მიხლაძეს-10 წლით ვარდენ ქანტურიძეს-6 წლით, მარ. რობაქიძესა. პარმენ ენუქიძესა, ბიქტორ რობაქიძესა, ტარასი ენუქიძესა, ირ. რობაქიძესა, არსენ თოდრიას და იაკობ ცუცქირიძეს—ოთხ-ოთხის წლ., დომენტი ცერცვაძეს—3 წლითა და 4 თვით და თენგიზ ჟღენტს—2 წლითა.

**სრულიად გაამართლა** 7 კაცი: ბეგლარ ნებიერიძე, კავზირიძე, ალექ. ნებიერიძე, ქათამაძე, კოწია ჭოლაძე, სამანაშვილი და სამხარაძე.

სასამართლომ ამასთანავე დაადგინა; შუამდგომლობა აღძრას ნამესტნიკის წინაშე, რათა ტარასი ენუქიძესა, თენგიზ ჟღენტსა და არსენ თოდრიას სასჯელი შეუმსუბუქოს.

# სხვა და სხვა ამბავი

— გამოირკვა, რომ კიევის დამცველ პოლიციაში დაღუპულ მურავიოვის სიკვდილს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ განთქმული წევრი პოლენკოვის ქალი დასწრებია. მას ეს ამბავი ბუსლომ გამოჰკითხა.

(„რ.“).

— ოდესის ოლქის მზრუნველს შჩერბაკოვს საეროზო სკოლებისთვის ნება არ მიუცია, დარბაზში ლ. ნ. ტოლსტოის სურათი ჩამოჰკიდონ.

(„რ.“).

— ილიოდორეს, მომხრეებსა ზოგიერთ მღვდლებს და „ჭეშმარიტ რუსთ“ საიდუმლო თათბირი ჰქონდათ. ილაპარაკეს ცარიცინიდან არა სასურველ მღვდლებისა, „კავშირის“ განახლებისა და მემარჯვენე გაზეთის გამოცემის თაობაზე. მსჯელობა ჰქონდათ აგრეთვე მეოთხე სათათბიროს საარჩევნო სამზადისის თაობაზე. კრების დადგენილებას არ ამჟღავნებენ.

# ჩინეთის რევოლუცია

**დეპეშები**

27 ოქტომბერი.

**შანხაი.** ცუზიანში რევოლუციონერებისაგან აღებული სიმაგრეები ახლო მიმავალ გემებს ესვრიან. როდესაც ნანკინი დამორჩილდება, ნავთსადგური უსიუ რევოლუციონერების მხარეს გადასვლას აპირებს. ამბობენ, ნანკინში 26 ოქტომბერს 100 კაცი მოჰკლესო. ქალაქში მთავრობის ხუთასამდე ჯარის კაცი გამაგრდა, მაგრამ ისინიც ფულის გულისთვის მზად არიან რევოლუციონერებს მიემხრონ. ქალებსა და ბავშვებსა ჰხიზნავენ. ჩუენციანში ჯარის კაცნი მეამბოხეთ მიემხრნენ. შანხაიში სიმშვიდეა. ხანკოუდან ამბავი მოვიდა, მთავრობის ჯარი ან უნდა დამორჩილდეს, ან პეკინისაკენ გაეშუროსო. ადმირალი სა ხანკოუსა და ცზუნციანს შუა მოემწყვდა. ერთი ნაღმოსანი დაიზიანეს, მეორე ჩაძირეს.

**ხარბინი.** მანჯურიის გენერალ-გუბერნატორმა ჯარის თავმოყრა გამოაცხადა, ჩინელები იუწყებიან, მანჯურიაში სარევოლუციო აგიტაციის შუაგული კუანჩენძია, სადაც რევოლუციონერთა მთავრობისაგან ბრძანებას ელიან მანჯურიის ყველა ქალაქებში ერთდა იმავე დროს აჯანყების მოსაწყობადაო.

**პეკინი.** ბრძანებამ იუანშიკაი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა. ტიანცზინი რევოლუციონერებმა აიღეს. ვიცე-კოროლის იამინი დასწვეს. მეოცე დივიზიის უფროსის გენერალ ჩანგის მოსვლას მოელიან. ტიანცზინში მყოფი 4,500 მანჯურთა რაზმი პეკინს დაბრუნდა.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

**დეპეშები**

27 ოქტომბერი.

**სტამბოლი.** სახელმწიფოებმა პორტას აცნობეს, კრიტეში არეულობის ნებას არავის მივცემთ და საჭიროებისამებრ ჯარსაც მოვიხმართო.

**პალატა.** ოპოზიციის დეპუტატი იზმაილ-ფაშა მაჰმუდ-შევკეთთან თავის ლაპარაკს აღნიშნავს, რომლის დროსაც შევკეთს უთქვამს, ინგლისის მომხრე ვარო. დიდი ვეზირი და გარეშე საქმეთა მინისტრი უსაყვედურებენ: ეგ ამბავი არ უნდა გამოგექვეყნებინაო. დეპუტატთა უმრავლესობა ტრიბუნიდან მოლაპარაკეს ჩამოსვლას თხოულობს. ხმაურობაა. დიდი ვეზირი ტრიბუნაზე ადის და ამბობს, სამხედრო სასამართლოში დეპუტატის დაბარება პიროვნების ხელუხლებლობის დარღვევა არ არისო. სხდომა დახურულია.

**ტრიპოლი.** კანევას სიტყვით, ახლანდელ იერიშს პოლიციურ ზომის ხასიათი აქვს. მისი მიზანია ოაზის ზარას აღება, სადაც მტერს სურსათი ჰქონია შენახული. კანევა ამ ზამთარს შუაგულს გასალაშქრებლად მოემზადება და თვით გალაშქრება კი გაზაფხულზე მოხდება.

**ტუნისი.** საავადმყოფოში 18 მოკლული მიიტანეს და 41, არეულობის დროს დაჭრილი. დაჭრილ-დახოცილთა ნამდვილი რიცხვის გამოკვლევა შეუძლებელია, რადგან არაბები თავის ზარალს ჰმალავენ. ერთად-ერთი მიზეზი არეულობისა რომიდან და სტამბოლიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო ომის ამბავის მოსვლაა, რომელიც ხან იტალიელებს აღელვებს, ხან--არაბებს.

**სოფია.** სტამბოლიდან იუწყებიან: აქ ძალიან უკვირთ ზოგიერთ რუსულ გაზეთების მიერ გამოქვეყნებული ამბავი. ტყუილია, ვითომ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს მემკვიდრე ბატონიშვილი იუ·

---

უფრო მეტი ასპარეზი აქვს, თუ სადაა მეტად განვითარებული მრეწველობა, აღებ მიცემობა, საერთოდ ქალაქური ცხოვრება.

ტფილისის მაზრის მცხოვრებნი ამ მხრივ უკეთეს პირობებში უნდა იმყოფებოდნენ, ვიდრე, მაგ., დუშეთისა და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებნი. ქალაქ ტფილისის სიახლოვე, ამ ქალაქის მოთხოვნილება სხვა და სხვა სამეურნეო ნაწარმოებზე მეტად ანვითარებდა წარმოებას და აღებმიცემობას. სხვა და სხვა ხელობას, მეურნეობის სხვა და სხვა დარგს აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით. ამიტომ აქ შრომას შედარებით მეტი ასპარეზი ჰქონდა. სამრეწველო შრომის ხასიათი აქ მეტად იყო განვითარებული. მართალია, დიდი ქარხნები და ფაბრიკები ქალაქშიაც არ იყო და სოფლად საიდან-და იქნებოდა, მაგრამ ქალაქის სხვა და სხვა მოთხოვნილებათა უზრუნველყოფით კი უმამულო მუშა ხალხი თვალსაჩინო სამუშაოს შოულობდა. ჯერ თვით სოფლად, მსხვილი მემამულეები იყვანდნენ მუშებს—უმთავრესად ზაფხულობით და ამუშავებდნენ როგორც ვენახებსა და ბაღებში, ისე თიბვის დროს, მომკაში და სხვა. ს. ვ. მაჩაბელი, რომელიც ამ მხრივ ტფილისის მაზრას იკვლევდა, აღნუსხავს, რომ სამუშაო ქირის რაოდენობა მუშისავე ხარჯით 60 კაპეიკს უდრიდა, ხოლო დამქირავებლის ხარჯით—ორ აბაზს[1]). როგორც ფრიად საგულისხმო მოვლენა, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ შრომის გამქირავებელის როლში აქ მუშა მამაკაცთან ერთად გამოდიან მუშა-დედა-კაცებიც. ზოგიერთ გურულ-მეგრელ-იმერელ ქალებს დღესაც ვერ მოუნელებიათ თავისი შრომის დღიურად სხვის ქირაზე ამუშავება, მაგრამ ამერეთის სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ აქ მებატონეთა მამულებში დედა-კაცებსაც ამუშავებენ ქირით. როგორც ყველა ქვეყნებში, ქალები აქაც მამაკაცებთან შედარებით იაფად მუშაობენ და მამაკაცების სერიოზულ მეტოქედ გამოდიან. ბ. ი. ვ. მაჩაბელი აღნიშნავს, რომ „ბაღებში ბევრ სამუშაოს ქალები ასრულებენ, რომელთაც დღიური ხელფასი თავის სარჩოთი 30 კაპ. განისაზღვრება, ხოლო დამქირავებელის ხარჯით—20-ით[2])“.

ხელფასის ასეთი დაცემა მხოლოდ ტფილისის მაზრას როდი ახასიათებს. განა ასეთსავე მაგალითს არ გვაჩვენებს შესანიშნავი და ბუნებრივად თვალწარმტაცი, მდიდარი კახეთი? აქ ხალხს გასაშტერებელი სიმდიდრე ახვევია გარს და შიგ, თვით კახეთის ცხოვრების წიაღში, განსაცვიფრებელი სიღარიბე გამეფებული, გასაშტერებელ სილატაკეს დაუპყრია ყოველივე. ამ საზოგადოებრივ ცხოვრებით დაუძლურებულ ხალხის შრომა და ძალა აქაც მსგავს პირობებში ჩაყენებული. ბ. არღუთინსკი კი თითქოს უფრო უკან დახეულ და განუვითარებლად გვიჩვენებს ჩვენ ამ კახეთს[3]). ჩვენ ყველა მაზრებში ვხედავდით ფულისათვის შრომის ქირაობას, ხალხის ძალის გაქირავება—დაგირავებას; აქ კი ბ. ა. მ. არღუტინსკი ჩვენს ყურადღებას უმთავრესად ნატურალურ ხელფასზე აქცევს. როგორც მოგეხსენებათ ხვნა-თესვის პირობები კახეთსა და, მაგ., იმერეთისა დიდად განირჩევა. ილაჯ-გამოლეული ხარით გურული მეურნე თამამად მოხნავს თავის დღიურ მიწას, მაგრამ კახეთში საამისოდ კარგი სახნისი, ექვსი და რვა უღელი ხარია საჭირო. აბა სად იქნებოდა მაშინ ეგრე მოწყობილი მეურნე, აკი ბ. არღუთინსკი აღნიშნავს, რომ, მაგ., სოფელ ველისციხეში სახნისი მხოლოდ მეოჯახეთა 6% აქვსო, ვარდისუბანში—7%, ხოლო ყველაზე მეტი მაღრანში—ე. ი. 16%, მაგრამ აქ ხომ მეტად მცირე იყო თვით მცხოვრებნიც.[4]) ამიტომ, გლეხები მიწის დასამუშავებლად ადგენენ ამხანაგობას, ამ ამხანაგობით ისინი საერთოდ ეწევიან შრომის უღელს და ამ საერთო ჰაპანწყვეტიდან თანაბრად მათი შრომისა და საწარმოვო იარაღისა იღებენ ნაყოფსაც[1]). ასეთ ამხანაგობებში ხშირად კერძო პირებიც შედიან, ამ შემთხვევაში კი ამხანაგობის წევრნი იძულებულნი არიან მუშას ხელფასი მისცენ და, რაღა თქმა უნდა, ამხანაგობამ მუშის შრომაში ფულები გაიღოს, რაიცა ათშაურს არ აღემატებოდა შრომის დღიურის ხელფასად[2]).

მეტად მცირეა საქართველოში ხელფასის რაოდენობა, მაგრამ გლეხკაცობის საბედნიეროდ თუ საუბედუროთ, სამუშაო ქირის რეალობა შეიძლება რამდენადმე უკეთეს სახეს წარმოგვიდგენდეს, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოდ სანოვაგის სიაფეს. ყველას მოეხსენება, რომ დღეს—30—40 კაპეიკად ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. მარტო პური და კარტოფილი ჯდება დღეს ამ ფასზე მეტი, რომ ხორცეული მხედველობის გარეშე დავტოვოთ. ამ მხრივ წარსული საუკუნე უფრო წინ იდგა, ე. ი. მაშინ უფრო იაფი იყო სხვა და სხვა სანოვაგე, ვიდრე დღეს. ცნობილი პროფ. ა. ხახანაშვილს თავის შესანიშნავ წიგნში,[3]) რომელშიაც ჩართულია დამატება: „მე-XVII და მე-XVIII საუკუნის ფულის შედარება ჩვენი დროის ფულთან“—რამდენიმე მაგალითი, მოჰყავს, მაგ., პურის ფასებისა ხსენებულ საუკუნოებში, აქედან ვხედავთ, რომ სანოვაგე წარსულში შედარებით იაფი იყო, ამას საინტერესო „მასალები...“ და „მასალების კრებული...“-ც აშკარად გვიმტკიცებს, მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ წასწევს წინ და ვერ გადააფუჩეჩებს იმ საშინელ პირობებს, რომელშიაც იმყოფებოდა მუშა ხალხის შრომის ფასი, ქირა. განა მუშები იმისათვის მუშაობდნენ, იმისათვის აქირავებდნენ თავის ძალას, რომ მარტო პური და ხორცი ეყიდათ? არა, მკითხველო, უმეტეს შემთხვევაში ჩვენი გლეხ-კაცობა წარსულ საუკუნის მიწურულში საკვებ მასალებს თითონ იმუშავებდა, ის მხოლოდ სახტად რჩებოდა, როცა მას მრეწველობის ნაყოფი უნდა შეეძინა, ისეთი საქონელი, რომელიც მას ვერ შეექმნა. ამას გარდა, შრომის ქირის დიდი ნაწილი მიდიოდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უზრუნველ-საყოფად, რაიცა აუცილებლად ფულს მოითხოვდა[4]) სკოლის ხარჯები, სასამართლოს, სახელმწიფოს გადასახადები, ათასნაირი ბაჟები და სხვა ნაღდ ფულს მოითხოვდა. ფულს კი გლეხობა თავისი ძალის გაყიდვით შოულობდა. ამიტომ ჩვენ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ შემდეგი გარემოება: სახმარებელ სანოვაგის სიიაფე გლეხ-კაცობისთვის არც სასურველიც იყო, არც სასარგებლოც. ეს მოასწავებდა თვით სოფლის ცხოვრების განუვითარებლობას, სოფლის ნაწარმოების ბაზრის უქონლობას და საერთო კარ-ჩაკეტილობას. გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესება კი ასეთ პირობათა დათრგუნვით გახდება რამდენადმე შესაძლებელი. სამუშაო ქირა ვერ საზღვრავს სანოვაგის სიძვირე ვერ მოსპობს ამ მთელ ცხოვლის მნიშვნელობასაც. უკანასკნელების განვითარება, გლეხ-კაცობის შეკავშირება, მათი კლასობრივი თვით-შეგნება კი ნამდვილი თავდებია მათ ხელფასის ზრდის, მათი შრომის მომატების და განვითარებისა.

რა მომავალი ჰქონდა მუშის ხელფასს საქართველოში? გვანახებდა თუ არა ჩვენი ცხოვრების სინამდვილე ევროპის ქვეყნების იმ ფაქტს, რომ ხელ-ფასის რაოდენობა მუშათა თვითცნობიერებით, მუშათა ბრძოლით და ცხოვრების საერთო განვითარებით იზრდება, ვითარდება? რა პერსპექტივები იშლებოდა თვალების წინ?

ვნახოთ საქართველოს ცხოვრების შემდეგი განვითარება და იგი სწორ პასუხს მოგვცემს.

თ. ღლონტი.

[1]) იხ. Изслѣдованіе С. В. Мачабели „Экон. б. г. кр. Тифлисскаго уѣзда, Тифлис. губ.“ — Матеріалы... ტ. 5. ნაწ 1—გვ. 249.

[2]) ს. ვ. მაჩაბელის დასახელებული ნაკვლევი, გვ. 249.

[3]) იხ. А. М. Аргутинскій „Экон. б. г. кр. Телавск. уѣзда“—გვ. 99.

[4]) იხ, არღუთინსკის გამოკვლევის მე-99 გვერდი.

[1]) იხ. არღუთინსკის ნაკვლევი, გვ. 99—100.

[2]) იხ. იქვე, გვ. 101.

[3]) იხ. ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა „ბატონ-ყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“. ქ. ქუთაისი, გვ. 129—132.

[4]) გადასახადების ფულით გასტუმრების წესი ჯერ მე-XIX—საუკუნის პირველ ნახევარში შემოიღო რუსეთის მთავრობამ. თ. ღ.

სუფი-იზედინი დაეპატიმრებიოს, აგრეთვე ვითომ 570 აფიცრის მიერ წარდგენილი ულტიმატუმის ამბავი. მხოლოდ ის იყო, რომ აფიცრობის მშვიდმა და უფრო ჭკუა დამჯდარმა ნაწილმა მეორე ნაწილს პოლიტიკურ შუღლში მონაწილეობა უსაყვედურა. ტყუილია, ვითომც მუსულმანთა საზოგადოების სახელმწიფოდან ჩამოშორება მოეთხოვოსო აფიცრებს. ეს შეუძლებელია, ვიდრე ხალიფობა და ხონთქრის უფლება ერთ ადამიანს ეკუთვნის. პოლიტიკაში ჩარევის წინააღმდეგ პროტესტი სამხედრო მინისტრის ლაპარაკმა გამოიწვია, რომელიც ამასვე თხოულობდა. რუსული გაზეთებივით ინგლისურნიც სცდებიან: „ტაიმსი“ და „დეილი ტელეგრაფი“, რაიცა სტამბოლში მყოფ ინგლისელთა მოშუღლეობით აიხსნება; ისინი ქიამილის სასარგებლოდ მოქმედებენ. თუ საიდ-ფაშა ქიამილმა შესცვალა, რუსეთი ვერაფერს მოიგებს.

**სტამბოლი.** პალატამ იტალიელთა სასტიკობის ჩადენის წინააღმდეგ პროტესტის ტექსტი მოიწონა. ფეკრის საქმის თაობაზე ლაპარაკის დროს, ზოგიერთი დეპუტატი სამხედრო მინისტრს ჰგმობდა. მას დიდი ვეზირი ესარჩლებოდა: უსარგებლო ლაყბობის მაგიერ კანონების შექმნას შეუდექითო. დიდმა ვეზირმა სამხედრო მინისტრს სრული ნდობა გამოუცხადა.

**ტრიპოლი.** 26 და 27 ოქტომბერს განუწყვეტლივ პატარ-პატარა შეტაკებანი მოსდიოდათ, ოსმალები საფრიდან დაცემით იტალიელებს დაზვერვას უშლიან, დიდი შეტაკება ჰქონდა მე-93 პოლკს, რომელსაც 2 მოუკლეს და 26 დაუჭრეს. იტალიელებმა სროლით გაჰფანტეს არაბები. ოსმალთა ბანაკში ხოლერა და ყვავილი მძვინვარებს.

**სტამბოლი.** პალატამ სამხედრო მინისტრს ნდობა გამოუცხადა. ბელგიის დეპუტატი შეგანი მოვიდა. იგი პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ელაპარაკა და განაცხადა, ბენგაზიდან 15 ოქტომბერს რომ წამოვედი, ტალიელები ქალაქს ამაგრებდნენ, მაგრამ გარეთ გასვლა არ შეეძლოთ, რადგან ქალაქს ალყა ჰქონდა შემორტყმული არაბთა მოხალისეთაგან, რომელთაც სურსათიც ბლომად ჰქონდათ და საომარი იარაღიც. ასევე ტრიპოლიშია. შეგანის აზრით, იტალიელები თავის დღეში ვერ დაიპყრობენ პროვინციას.

# საფრანგეთ-გერმანიის მორიგება

### დეპეშები

27 ოქტომბერი.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. შეკითხვაა გარეშე პოლიტიკის თაობაზე. რეიხსტაგის წინ აუარებელი ხალხია. რეიხსტაგში თითქმის ყველა დეპუტატი, კანცლერი და მინისტრია. ლოჟაში კრონპრინცი და ბატონიშვილი ავგუსტ-ვილჰელმი ზის მეუღლით. კანცლერი ერთის საათის განმავლობაში საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმებას აწერს, აგადირში გემი გერმანელთა ინტერესების დასაცველად გავგზავნეთ და მიწა-წყლის შეძენა სრულიად არ გვქონდა მხედველობაშიო. კანცლერი აღნიშნავს, მოლაპარაკების დროს გერმანიამ თავისი ღირსება დაიცვა და ყველას აჩვენებდა, მზად ვარ ჩემი უფლება და ერის ღირსება იარაღით დავიცვაო. გერმანიას სრულიად არ ეშინება ინგლისის მუქარისა. საფრანგეთ გერმანიის მოლაპარაკება მშვიდობიანად პირველად გათავდა და ამისათვის მთავრობა ქებას არ ელის, მაგრამ არც დაგმობისა ეშინიან. კანცლერის სიტყვას სრულის სიჩუმით შეჰხვდნენ. ძალიან გულგრილად მოისმინეს კანცლერის განცხადება გერმანიის სიძლიერისა და გამარჯვების თაობაზე. კანცლერის შემდეგ ილაპარაკა ცენტრის წარმომადგენელმა გარტლინგმა. მან, ბებელმა და კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალთა მეთაურებმა შეთანხმებას გერმანიის დამარცხება უწოდეს. ისინი ცხარედ ლაპარაკობდნენ ინგლისის თაობაზე, გერმანიის მომეტებულ მშვიდობიანობის სიყვარულს უსაყვედურებდნენ, რადგან გერმანიის განცხადებას საზღვარგარეთ სისუსტედ ჩასთვლიანო.

უარჰყოფენ ამბავს, ვითომც კრონპრინცი და ბატონიშვილი კანცლერის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდნენ.

# სპარსეთის არეულობა

### დეპეშები

27 ოქტომბერი.

**თავრიზი.** ენჯუმენის რვა დეპუტატი მოსალაპარაკებლად იყო ქალაქზე მომდგარ შუჯა-უდ-დოულესთან. ოთხი დეპუტატი დაბრუნდა მეჯლისთან მოსალაპარაკებლად და ისევ უნდა წავიდნენ ეტყობა შუჯა-უდ-დოულე ენჯუმენს არ ენდობა. ადერბეიჯანის გენერალგუბერნატორის ბატონიშვილ ფერმან ფერმანის წინააღმდეგ აგიტაციაა. იგი უვიც მმართველად მიაჩნიათ.

**თეირანი.** რადგან 5 დღის შემდეგ მეჯლისს ვადა უთავდება, დემოკრატები მის ვადის გადიდებასა ჰქადაგებენ, რათა კაბინეტი შეავსონ. მდგომარეობას რეგენტის გადადგომის სურვილი ამწვავებს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოს)

27 ოქტომბერი.

### საზღვარ-გარედ.

**ვენა.** პალატა. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს უკრაინელი დეპუტატი კოლუშოვიჩი ლაპარაკობს, მთავრობა რუსებს არაფრად აგდებს და ავსტრიაში მეტოხრეცად მიაჩნიათ. გალიციაში მომხდარი არჩევნები პოლონელთა სასარგებლო ძალადობა იყო და მთავრობის დაწესებულებათა დემორალიზაცია საერთო სამართველოებზე გავრცელდა. რუს-გალიციელ სტუდენტთა პროცესი—კანონის დარღვევაა. ყველგან პოლონიზაციაა. ნამესტნიკ პოტოცკის რო ესროდეს, ეს საკმაო უნდა უთვილიყო, მცხოვრებთა მეორე ნახევრის მტერი არ დაენიშნათ ამ თანამდებობაზე. ბობრჟინსკი კი იგივე პოლონიზატორია. გალიციის რუსები ეროვნებათა თანასწორობას თხოულობენ. სანამ მთავრობა რუსების ამ სურვილს არ დააკმაყოფილებს მას ვერ ჰნდობიან.

**პარიზი.** „ექსიონი“ იუწყება, ხონთქარმა მულაი-ჰაფიდმა მაროკოზე პროტექტორატის დაწესების ხელშეკრულებას ხელი მოაწერაო. იგი ხონთქრისა და საფრანგეთის ადმინისტრაციის ურთიერთობას განსაზღვრავს.

**კონსტანტინოპოლი.** იმპერატორის იახტის არხში რუსეთის გემი „მერი“ დანიის „კორდოსს“ დაეჯახა და ჩაიძირა. მეზღვაურნი გადარჩნენ.

**ბუდაპეშტი.** პალატის თავმჯდომარედ ნაგიძი თავმჯდომარე ნოვაკის აირჩიეს.

**სტოკჰოლმი.** შვეციის აკადემიამ ნობელის პრემია მწერალ მეტერლინკს არგუნა.

**მადრიდი.** ტანჟერში მიღებულმა სასანიტარო ზომებმა აღელვება გამოიწვიეს, რისთვისაც ესპანიის მთავრობა კრეისერს ჰგზავნის.

**ტუნისი.** ბერდში ოთხ ფრანგ მეზღვაურს დაეცნენ. ერთი მოჰკლეს, სამი დასჭრეს.

**ზაგრები.** სერბ-ხორვატთა კოალიციის მომავალ სასეიმო არჩევნების თაობაზე თათბირი ჰქონდა. მონაწილეობდნენ: დამოუკიდებელ ცენტრის, ქრისტიანთა პარტიის, შეერთებული მემარჯვენეთა და სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელნი. ყველა პარტიამ გადასწყვიტა, მთავრობის კანდიდატთა გასაშავებლად ერთად იმოქმედონ.

### რუსეთი

**მოსკოვი.** პოლიციამ აღმოაჩინა განთქმულ ინჟინერ გილევიჩის ძმისგან გილევიჩის-მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება. მან დამცველ პოლიციის უფროსად გაიცნო თავი ფაბრიკანტ დობინსს, დაამუქრა დაპატიმრებით და გასანთავისუფლებლად ათასი მანეთი ფულად და 4 ათასის თამასუქი ჩამოართვა.

**ეისკი.** საავადმყოფოში ნავთის დიდი ქვაბი აფეთქდა, რამაც ორი მოჰკლა და ერთი დაასახიჩრა.

**ეკატერინოდარი.** სოფ. რომანოვსკოეში პოლიციამ ორი დამნაშავე აღმოაჩინა დაპატიმრების დროს უახლოებმა 100-ჯერ გაისროლეს და ერთი პოლიციელი დასჭრეს; ერთი ბოროტმოქმედი მოჰკლეს, მეორემ თავი მოიკლა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ კაპიტან პოსტნიკოვს 8 წლის კატორღის სასჯელი და საქმე სამხედრო ბრალმდებელს დაუბრუნა ახლად გამოსაძიებლად.

გიმნაზიის საქმეების კომისიამ საშუალო სასწავლებელთა რეფორმა სასურველად მიიჩნია.

**კრასნოიარსკი.** 3 ოქტომბერს კანის ფოსტის კანტორიდან 48 ათასის მანეთის მომპარავნი დააპატიმრეს 12 ათასამდე უკვე იპოვეს. გაქურდვა ტელეგრაფის მოხელეს მოუწყვია.

ქალაქის დარიბთა საავადმყოფოში ავადმყოფმა, კაბინეტში მიდების დროს, მოჰკლა ექიმი შუკოვი და თვითონაც თავი მოიკლა.

**ოდესა.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია რამდენიმე ებრაელთა საქმე რომელთაც სხვისი სახელის ტარება ბრალდებოდათ. ბრალდებულთ მიუსაჯეს ჯარიმა 10 მანეთიდან ვიდრე 25 მ-დე.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში შესატანი პროექტი კავკასიის ქალაქებისთვის 127,250 მანეთის დახმარებისა ყოველ წლივ ჯარის 1912—1914 წ. კვების საქმეში.

**პეტერბურგი.** მთავრობა იუწყება, ოსმალეთმა ოსმალეთში შესატან საქონლის მოწმობის აღების საქმე გაადვილა, მოწმობაში აღნიშნული იქნება, თუ საქონელი საიდან მოდის. მოწმობის მიცემა შეუძლიანთ რუსეთის ყველა საბაჟოებსა და ბირჟის კომიტეტებს.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ხუთშაბათს, 27 ოქტომბერს, ქართულ თეატრში გაიმართა ტრადიციული „ილიას საღამო“. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა სცენები გლეხთა განთავისუფლების დროიდან „გლახა ქრიაშვილი“. ამ სცენამ ჩვეულებრივად მხიარულად ჩაიარა. განსაკუთრებით კარგი იყო ქ-ნი ე. ჩერქეზიშვილი ქვრივის როლში. წარმოდგენის შემდეგ აკაკიმ, რომელსაც ტაშის ცემით მიეგება საზოგადოება, სთხოვა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ილიას ხსოვნისთვის. ყველა წამოდგა. შემდეგ აკაკიმ წაიკითხა თავისი პოემა „კახეთი“ და ბევრი სხვა ლექსებიც. მეორე განყოფილება დასრულდა შოპენის სამგლოვიარო მარშით. მესამე განყოფილებაში გვაჩვენეს რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან: სახლის აივანზე, კაკლის ქვეშ, შემოქმედება და ორატორის კათედრაზე. სურათებს თანასდევდა დეკლამაცია. საინტერესოდ იყო დადგმული აპოთეოზი. წაიკითხეს ილიას ლექსები ქ-ნმა დავითაშვილმა, ც. ამირეჯიბმა და ბ.ბ. გვარამაძემ, მატარაძემ და არაბულმა. საზოგადოებას განსაკუთრებით ქ-ნ დავითაშვილისა და მატარაძეს დეკლამაცია მოეწონა. აპოთეოზის დასასრულ აიხადა უკანა ფარდა, საიდაც ღრუბლებში ილია გამოჩნდა. სურათი ლამაზი იყო, საზოგადოებაც მხურვალე ტაშის ცემით მიეგება.

# გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მიმოსვლა ზამთრობით.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

15 ოქტომბრიდან

**ტფილისიდან გადის:**

**ბათუმისაკენ:** 1) სახალხ. მატ. № 7, II—III კლ. გადის ხაღ. 9 ს. 40 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 2 ს. 10 წ., რიონში დილ. 6 ს. 54 წ., ბათუმში შუადღ. 12 ს. 44 წ.

2) სახალხო მატარ. N 5. II—III კლას. გადის ხაღ, 6 ს. 30 წ., გორში ჩადის 8 ს. 26 წ., მიხაილოვში 10 ს. 58 წ. რიონში 12 ს. 55 წ., ბათუმში დილ, 5 ს. 28 წ.

3) საფოსტო მატ. N 3, I—III კლ. გადის დილ. 8 ს. 52 წ., გორში 11 ს. 29 წ., მიხაილოვში 12 ს. 58 წ., რიონში ხაღ. 5 ს. 19 წ., ბათუმში ღამ. 10 ს. 15 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატარ. N 2, I—III კლ. ილ. 9 ს. 22 წ., განჯაში ნაშუადღ. 2 ს. 0 წ., ბალაჯარამი ხაღ. 10 ს. 18 წ., ბაქოში ხაღ. 10 ს. 45 წ.

2) სახალხო მატ. № 6, I—II კლას. ნაშუადღ. 2 ს. 40 წ., განჯაში ხაღ. 8 ს. 48 წ., ბალაჯარამი დილ. 6. 36 წ., ბაქოში დილის 7 ს. 13 წ.

3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 10 ს. 20 წ., განჯაში დილ. 4 ს. 31 წ., ბალაჯარამი ნაშუადღ. 2 ს. 32 წ., ბაქოში ნაშუადღ. 3 ს. 54 წ.

4) შერეული მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 34 წ., განჯაში ნაშუადღ. 1 ს. 59 წ., ბალაჯარამი დილ. 5 ს., ბაქოში დილის 6 ს. 14 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. N 9/66, I—III კლ. ნაშუადღ. 2 ს. 25 წ., ბორჯომში ჩადის ხაღ. 8 ს. 4 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

სახალხო მატარ. N 74/75, I—III კლას. ხაღ. 10 ს. 50 წ. ჯულფას ჩადის მეორე დღეს ხაღამოს 10 ს. 12 წ.

2) სახალხო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. ნაშუადღ. 4 ს. 36 წ., ერევანში ჩადის დილის 10 ს. წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბათუმიდან:** სახალხო № 6, I—III კლას ნაშუადღ. 1 ს. 52 წ., საფოსტო N 4, დილ. 9 ს. 30 წ. სახალხო № 8,—ნაშუადღ. 4 ს. 35 წ.

**ბაქოდან:** სახალხო N 5. ნაშუად. 4 ს. 9 წ. საფოსტო N 3.—დილ. 7 ს. 56 წ. ჩქარი მატარ. N 1.—ხაღ. 8 ს. 58 წ.

**ერევნიდან:** ხაღ. N 72—73, დილის 7 ს. 27 წ.

**ერევნიდან:** საბარგო და სახალხო № 80 81—შუადღის 12 ს. 42 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა. ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც აშიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ზოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

**ჯულფიდან:** ხაღ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სახალხო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სახალხ. N 9—10, ხაღ. 8 ს. 30 წ.

# განცხადებანი


მუხრანის ქუჩის

**სამკურნალო**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. მ. გოგობერიძე—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

მ. კ. თახელიანი—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.

მ. ლ. შტრეიხერი—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. ხაუვარელიძე—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

იაშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელქონიანი—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

გ. ა. ახვერდოვი—შინაგან, 12 ნ. ს.—1 ნახ. ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

493 ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

ლ. მ. მონინი—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—163

**დოქტ. ნავასარდიანისა**

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მუღანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ ს. შინაგან და ს ბავშვთ.

ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ. ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—168)

**გამოცდილი მასწავლებელი**

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის პირობებით: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, საეპარქიო სასწავლებლისთვის, სატეხნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბებიო ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე. ყველა კლასის კურსდამთავრებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ ხარჯზედაც, პანსიონში. მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შევსებიდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, (около памятн. Воронцову), спросить учителя. (т. 1084.—)

**აგენტი**

**მ. ა. ბაქონია**

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატაზტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტთათ ლ. ე. მეტცლისა და ამხ. და საქციონერო საზოგ. „ანოსისა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

დაიბეჭდება და ნოემბრის 1-ს დაურიგდება ხელის მომწერლებს ნოემბრის ნომერი ჟურნალ

**„განათლებისა“**

შემდეგის შინაარსით: 1. დ რ ლოუნგენი. ხასიათის საზოგადო აღზრდა ლ. ბოცვაძისა. 2. აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლის ბაღებისა — კახაბერისა. 3. მოზარდ თაობის სულისა და ნერვების არანორმალური მდგომარეობა ილ. ფერაძისა. 4. ქართული თუ ქართლური (ბ. გრ. ყიფშიძის წერილის გამო) სილ. ხუნდაძისა. 5. უცხო ენების სწავლება საშუალო სასწავლებლებში ა. ყუმისთაველისა 6. ციხეში. (ლექსი) არ. ედილოშვილისა. 7. პირველი დღე (სემინარიელების ცხოვრებიდან) ალ. ე—ლ სა. 8. სული წმინდა (ლექსი) ი. მჭედლიშვილისა. 9. დასჯა ვარდი დ. თურდოსპირელისა. 10. დედა-ენის გაკვეთილი (ამბავი) კლდიაშვილისა. 11. უკრაინელ პოეზიიდან—ტარას შევჩენკოდან და ოლესიდან ახამანისა. 12. მეგობარს. ს. აბულაძისა 13. ლექსი ნ—ურისა. 14. შინაური მიმოხილვა ფარისა. 15. პასუხ. ბ-ნ სილ. ხუნდაძეს გრ. ყიფშიძისა. 16. მღვდელი მიქელ თამარაშვილი (ნეკროლოგი). 17. ბიბლიოგრაფია. 18. განცხადებანი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს, ვისზედაც ჟურნალის ფულია დარჩენილი, დაიჩქარონ გამოგზავნა.

ჟურნალის წლიური ფ ა ს ი სამი მანეთია, სოფლის მასწავლებლებისთვის 2 მან. მ ი ს ა მ ა რ თ ი: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. Боцвадзе. რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე. (2—1562—1)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

**„კოლხიდა“**

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ. საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან.,

თვიურად ექვსი აბაზი, თითო ნომერი ერთ შაურად.

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ.

სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდის, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. ჯუმბაძე

**გამოვიდა და იყიდება თხზულებანი:**

| | | |
|---|---|---|
| არჩილ ჯორჯაძისა: | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრიობა“ . . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი“ . . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. . . . . . | ფ. 85 კ. |
| Bâton-ისა: | „ერი და კაცობრიობა“ . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| მ. ყიფიანისა: | «სამგზრვლოს მთავარი ლეგან», ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| ნ. შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრამა . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.





სტამბა „სორაპანი“, მიხეილის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. [illegible]